ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 3

ქ. ლანჩხუთი **23.03.2026 წელი**

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, ელისო ჭიჭინაძე, ივანე ებრალიძე, ირაკლი ტოროტაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, ვარლამ ჩხარტიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: დარეჯან ბურჭულაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, გელა პატეიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე,** „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" დირექტორი **ლია ურუშაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მაია ლომთაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** მიესალმა მოწვეულ სტუმრებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. შემდეგ მან დიდი გულისტკივილით ისაუბრა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქზე და აღნიშნა, რომ ყველა ქრისტიანისთვის ჩვენი პატრიარქი იყო მაგალითი მეგობრობის, სიყვარულისა და თავმდაბლობის. სწორედ ამიტომ, მთელმა ერმა გამოხატა თავისი პატივისცემა და სიყვარულით გააცილა უწმინდესი უკანასკნელ გზაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

2. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებლები კარლო კვიტაიშვილი; ლია ურუშაძე /

3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** და აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის N10 დადგენილება.

კომისიის წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით რა ხდება, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** უპასუხა, რომ აღწერილია ყველა ასეთი შენობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქონების ეროვნულ სააგენტოს, ქვეყნის მასშტაბით არა აქვს არანაირი გადაწყვეტილება მიღებული.

ელისო ჭიჭინაძემ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ გასაწმენდია ლესის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის ტერიტორია, რომელიც ნაგავსაყრელადაა ქცეული.

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში აქვს თუ არა ადამიანს უფლება, ააგოს ცალკე შენობა-ნაგებობა მერიის ნებართვის გარეშე, რაზეც **ვარდენ კვაჭაძემ** განმარტა, რომ ეს არის ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენცია, მაგრამ მისი ინფორმაციით, თუ შენობა აღემატება 30-40 კვადრატულ მეტრს, მას აუცილებლად სჭირდება როგორც ნებართვა მერიიდან, ასევე შენობის პროექტიც.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ დირექტორმა **ლია ურუშაძემ** და აღნიშნა, რომ, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება შეიქმნა 2018 წელს, მუნიციპალიტეტის მერის N 187 ბრძანების საფუძველზე, რომლის დაქვემდებარებაში შედის 3 სკოლა, ესენია: ლანჩხუთის მარინა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლა, სუფსის სამუსიკო სკოლა და ლანჩხუთის ვილი ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლა. ეს სკოლები ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სოფლის ნიჭიერ ახალგაზრდებს. სკოლა არის 6 წლედი, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს წესდების თანახმად ეძლევათ უფლება, გაიარონ მეშვიდე კლასიც, ხოლო შემდეგ კი სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებელში. ეს შეიძლება იყოს ნიჭიერთა ათწლედი და კონსერვატორია. მისი თქმით, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება აქტიურ მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ყველა კულტურულ ღონისძიებაში და გარდა ამისა, სკოლათა გაერთიანებას თავისი დაგეგმილი ყოველთვიური ღონისძიებათა გეგმა აქვს და ასრულებს ამ გეგმას თანმიმდევრულად. ამას ასევე ემატება ისიც, რომ აპრილის თვიდან იწყება კონკურს ფესტივალები. 2 დან 8 აპრილის ჩათვლით ზესტაფონში გაიმართება ქართული მუსიკის მეცხრე მუსიკალური კონკურსი, შემდეგი კონკურსები ჩატარდება ხობში, სენაკში და ბოლოს, 2 დან 6 ივნისის ჩათვლით ლანჩხუთში, კარლ ჩერნის სახელობის კონკურსი. ხოლო რაც შეეხება მოცარტის სახელობის კონკურსს, გადაიდო პატრიარქის გარდაცვალების გამო. **ლია ურუშაძის** თქმით, მსგავს კონკურსებში თავიდან მხოლოდ 10 მუნიციპალიტეტი იღებდა მონაწილეობას, ხოლო ამჟამად 25 მუნიციპალიტეტი მონაწილეობს.

„ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ დირექტორმა **ლია ურუშაძემ** ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ აქვთ ძალიან პატარა საკონცერტო დარბაზი, რაც ქმნის პრობლემას. მისი დიდი სურვილია მოხდეს კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ერთ-ერთ კონკურსში გამარჯვების შემდეგ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებამ შეიძინა 2 როიალი და 4 პიანინო და ყოველწლიურად ცდილობენ თითო პიანინოს შეძენას.

შემდეგ მან ისაუბრა სამხატვრო სკოლის შესახებ და აღნიშნა, რომ ამჟამად 192 ბავშვი სწავლობს სამხატვრო სკოლაში. ძირითადად ისწავლება ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება და ასევე არჩევითი საგნები: ვიტრაჟი, გობელენი, ხატწერა, გრაფიკა და ხაზვა. მისი თქმით, სამხატვრო სკოლაში სწავლა არის უფასო, ხოლო სამუსიკო სასწავლებელში გადასახდელი თანხა შეადგენს 15 ლარს.

სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა **ლია ურუშაძემ** აგრეთვე ისაუბრა იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა ჩვენს მუნიციპალიტეტში და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ამისთვის. მისი თქმით, რომ არა მერის დიდი ძალისხმევა, დღეს სუფსაში არ იქნებოდა სამუსიკო სკოლა, სადაც არის არაჩვეულებრივი გარემო და ისინი ამ ყველაფერს პასუხობენ თავიანთი შემოქმედებით.

ლია ურუშაძემ აგრეთვე ისაუბრა იმის შესახებ, რომ გაერთიანებაში გაკეთდა ბევრი კარგი რამ და კიდევ არის გეგმაში სამუსიკო სკოლის 3 ოთახის გარემონტება, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა მათ გამოუყო 15000 ლარი.

კომისიის წევრმა **თენგიზ ხუხუნაიშვილმა** აღნიშნა, რომ სურვილი აქვს მოაწყოს გარე საგამოფენო სივრცე, რაზეც **ლია ურუშაძემ** უპასუხა, რომ მისი დიდი სურვილიცაა მსგავსი სივრცის მოწყობა და არის არაჩვეულებრივი იდეა. მისი აზრით, სამხატვრო სკოლის ეზოშიც შეიძლება საგამოფენო სივრცის მოწყობა, რადგანაც ეზოში არის დიდი ტერიტორია.

მან ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების პედაგოგების საათობრივი ანაზღაურების მატება მოხდა ეტაპობრივად, მაგრამ

ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან შედარებით არის დაბალი. მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან ისინი ცდილობენ, რომ მოხდეს ხელფასის 2-3 ლარით მატება. პედაგოგი, რომელიც შეთავსებით იმუშავებს სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში ექნება 24 საათი დატვირთვა, ხოლო ძირითად პედაგოგებს, შრომის კოდექსის გათვალისწინებით 40 საათი დატვირთვა.

ლია ურუშაძეს აქვს ძალიან დიდი სურვილი, რომ არა მარტო დედაქალაქში, არანედ სხვა დიდ ქალაქებშიც იყოს კარგი უნივერსიტეტები, რომლებიც აღზრდიან ძლიერ და პროფესიონალ კადრებს, რადგანაც ქვეყანაში არის პედაგოგების დეფიციტი.

კომისიის წევრების მიერ აღნიშნული საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის წევრმა, **ირაკლი ტოროტაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ აკეთში რკინის ხიდი არის ცუდ მდგომარეობაში და შესაკეთებელია.

კომისიის წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** ისაუბრა იმის სესახებ, რომ შეგრენ-ლარსონის სინდრომის მკურნალობის დაფინანსება უნდა ამოქმედებულიყო მიმდინარე წლის მეორე კვარტლიდან, მაგრამ არის შეჩერებული. ამ სინდრომით დაავადებულია სოფელ ლესის მკვიდრი ბავშვი, რომელიც არის შშმ პირი და კარგი იქნება თუ დროულად ამოქმედდება ეს პროგრამა.

კომისიის წევრმა, **ვარლამ ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ ნინოშვილში, ოზურგეთთან დამაკავშირებელი გზა არის დაკეტილი და შემოვლითი გზით ხდება გადაადგილება. არსებობს, ალტერნატიული გზაც, რომელიც არის ყველაძე მოკლე, სოფელ ჯუმათის გავლით, მაგრამ არის დამეწყრილი და საჭიროებს გაწმენდას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **მაია ლომთაძემ** ისაუბრა სოფელ აცანის სკოლაში არსებულ რთულ პირობებზე და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა არის ძალიან ნესტიანი, რომ შენობაში არ არის სველი წერტილი, საპირფარეშო. არ არსებობს სპორტ დარბაზი და ბიბლიოთეკა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №3 სხდომის დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **23.03.2026 წ.**

2026 წლის 23 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

2. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებლები კარლო კვიტაიშვილი; ლია ურუშაძე /

3. სხვადასხვა საკითხები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი(ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 8; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

23.03.2026 წელი
16:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი - კომისიის თავმჯდომარე	15 55	
2. ნინო მშვიდობაძე	16.00	
3. დარეჯან ბურჭულაძე	არ ესწრებოდა	
4. ლოლიტა ურუშაძე	16.00	
5. ელისო ჭიჭინაძე	15 55	
6. რევაზ კვერენჩხილაძე	არ ესწრებოდა	
7. ივანე ებრალიძე	15 55	
8. ვარლამ ჩხარტიშვილი	15 55	
9. გელა პატეიშვილი	არ ესწრებოდა	
10. ირაკლი ტოროტაძე	15.57	
11. თენგიზ ხუხუნაიშვილი	15 57	